

იურიდიულ და საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ მოსახლეობასთან კონსულტაციები გამართა



საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლორთქიფანიძემ სოფელ ვარშალომიძეებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კონსულტაციები გამართა. მიმდინარე წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აქტიურ მოქალაქეთა მიერ უკვე მესამედ შემოტანილი იქნა განცხადება სოფლებში რიგ ქუჩებზე დეველოპმოსილი ადამიანების სახელის მინიჭების შესახებ, მათ შორისაა სოფელ ვარშალომიძეებში მცხოვრებ მოქალაქეთა მიერ ვარშალომიძეების ცენტრალურ ქუჩას იუსუფ ვარშალომიძის სახელი ეწოდოს.

იუსუფ ვარშალომიძე 1921 წელს იყო აჭარის მეჯლისის წევრი, ასევე ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ის აქტიურად იყო ჩართული რეგიონისა და რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, მის სახელს უკავშირდება 1920-1924 წლებში სოფელ ხელვაჩაურში პირველი ქართული სკოლის მშენებლობა, რომელიც საკუთარი სახსრებით განახორციელა.

მოსახლეობასთან შეხვედრისას განისაზღვრა ის ქუჩა, რომელსაც სამომავლოდ იუსუფ ვარშალომიძის სახელი დაერქმევა.